№ 161. 1 აგვისტო, პარასკევი. 1866—1880 1 აგვისტო, პარასკევი № 161.

# დროება

რედაქცია
[illegible] თავში მარცხნივ თ. ლ[illegible] რეუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა
მიიღება „დროების“ „ივერიის“ რედაქციაში. გარდა ადგილობრივთათვის. Въ Тифлисѣ, въ ре[illegible] „Дроэба“-„Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი, „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

-გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., [illegible] რიგით ასოზე ნახევარი კაპ. [illegible] ზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდიშს ვიხდით ჩვენის მკითხველების წინაშე რომ ამ სამის დღის განმავლობაში ძალა-უნებურად შევაჩერეთ გაზეთი. მიზეზი ის იყო, რომ სტამბის ახალ ადგილას გადატანასა და ხელ-ახლად გამართვას უფრო მომეტებული დრო მოუნდა, ვიდრემ ჩვენ გვეგონა.

1 ივლისიდამ წლის დამლევამდის
**დროება**
ღირს ხუთი მანეთი
**ივერია**
ოთხი მანეთი
„დროება“ და „ივერია“ ერთად
შვიდი მანეთი

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 26 ივლისს. გუშინწინ, 24 ივლისს, ვასილიევის კუნძულზე დაიჭირეს 4 სოციალისტი; ერთმა ამათგანმა რევოლვერის სროლა დაუწყო პოლიციის აფიცერს, ასასსა და შვეიცარს; ორი პირველი დასჭრა, შვეიცარიც სასიკვდილოთ არის დაჭრილი.

პეტერბურღი, 27 ივლისს. გაზეთს „მოლვაში“ დაბეჯითებით იწერებიან, რომ უმაღლესად დანიშნულია ცალკე კომისია ბეჭდვის კანონების გარდასახედავად; კომისიის თავჯდომარედ დანიშნულია ვალუევი, წევრებად: გრაფი ლორის-მელიქოვი, მაკოვი, საბუროვი და აბაზა.

ლონდონი, 27 ივლისს. 1000 კაცს ზღვის ჯარს ბრძანება მოუვიდა ირლანდიაში გამგზავრებისა; ინგლისის მთავრობას ირლანდიაში ხალხის აჯანყების ეშინიან.

ათინა, 27 ივლისს. გამოვიდა კაროლის ბრძანება, რომლის ძალითაც საბერძნეთის ჯარი საომრად უნდა მოემზადოს.

ლონდონი, 28 ივლისს. ქუჩანიდამ მოვიდა ტელეგრამმა, რომ თურქმენის ჯარი გეოქ-ტეპეში არის თავ-მოყრილი. 12,000 კაცი ახალი ჯარი მოვიდა მერვიდამ.

სტამბოლი, 28 ივლისს. პორტა დათანხმდა სახელმწიფოების მოთხოვნილებაზე და ჩერნოგორიას უთმობს დულცინოის.

ნიუ-იორკი, 27 ივლისს. ტანხერმა მშვიდობიანად გაათავა ორმოცი დღის მარხვა *).

სტამბოლი, 28 ივლისს. ხონთქარმა უბრძანა სამხედრო მინისტრს, რომ ის 30 ივლისს 2,000 კაცით წავიდეს დულცინოში; მინისტრმა კისრად იდვა დულცინოის ოლქის ჩერნოგორიისათვის ჩაბარება. ხონთქარმა ბრძანა საბერძნეთის საზღვრის სწორე მაჯნა დახატონ და წარუდგინან სახელმწიფოებს. იმედეულობენ რომ საქმეს მეგობრულად გადასწყვეტენ.

სოფია, 28 ივლისს. მთავარმა უარჰყო დაემტკიცებინა საგვარტომო მხედრობის შესახები კანონი, რომელშიაც მოხსენებული იყო მხედართ-მთავარის ადგილი საარჩევნო იყოსო.

ტაშკენტი, 27 ივლისს. აბდულრახმანი ქაბულის ტახტზე ავიდა. ყველა ჯამეებში სამადლობელო პარაკლისი გადაიხადეს. ამუ-დარიის მარცხენა მხარეს ავღანური ქალაქები გაანათლეს. მაზარში და შერიხეში 101 ჯერ დასცალეს ზარბაზანი. კაუფმანი 26 ივლისს ფერგანის მაზრაში წავიდა კაშგარის საზღვრის დასათვალიერებლად. რუსების ჯარნი ალჩუშკად დგანან.

პეტერბურღი, 29 ივლისს. 2 ივლისს აქედამ ენტკრატისების (დაი მოწყალებისანი) დასი წავა ახალთექეს ექსპედიციაში; მათ შორის არის გრაფინა ელისაბედ დმიტრიევნა მილიუტინი.

სკუტარი, 28 ივლისს. გუშინ აჯანყებულ ალბანიელებმა აფეთქეს ჭაერში საბერძნეთის დესპანის სახლი.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 29 ივლისს. მდინარე ვოლგის იქით ტყე იწვის. გაზ. „პეტერბურღის უწყებებში“

*) ეს ტანერი გახლავსთ ამერიკელი; ვითომც „მეცნიერების ინტერესისათვის“ იმან წინადადება მისცა ნიუ-იორკში ერთს სამეცნიერო საზოგადოებას, მე ჩემი თავით დავამტკიცებო, რომ კაცს შეუძლია ცოტა წყლის სმის გარდა ორმოცი დღე არაფერი სჭამოსო. მაგრამ ამ საზოგადოებამ იმისთანა პირობები მისცა, რომ ტანნერი ვერ დაეთანხმა. შემდეგ რამდენიმე კერძო ექიმებმა მიიღეს მისი წინადადება და თვალ-ყურს ადევნებდნენ რიგით დღე და ღამ, მისს უცნაურს მარხულობას. საზოგადოება გაჰკვირდა, როგორც კი გაიგო ეს ამბავი და მუდამ დღე მრავალი მაყურებელი დადიოდა ტანნერის სანახავად. ჟურნალ-გაზეთები და მეცნიერები სასაცილოდ იგდებდნენ, აქ რაღაც ცუღლუტობა არისო, კაცი 40 დღეს უჭმელად ვერ გასძლებსო. მართლაც, ორჯერ ტანნერს (რომელსაც 15 დღე არც უხვამს, არც უჭამია, მხოლოდ მე-15 დღიდამ დაიწყო ცოტა წყლის სმა) ნაღვლითაც აღებინა პირიდამ და ორჯერვე კინაღამ მოჰკვდა, მაგრამ ამ ტელეგრამმით სჩანობთ, რომ თავის სიტყვა აუსრულებია.

## ფელეტონი

### სიმღერა მწერალთა

(პეტკო სლოვეიკოვისა-ბოლგარიულიდამ)

ძმანო ფარ-ხმალი მივაყრდნოთ კედელს,
ახლა დაგვიდგა ჩვენ სულ სხვა ჟამი:
სამშობლო მხარეს გზასა გაუკვლევს
ცხოველი აზრი, მწერლის კალამი!

—

ქვეყნის დარაჯად დიდხანს ვიყავით,
ბრძოლამ აღზარდა ხალხის გონება!
თოფის წამალი მრავალი დავწვით
და გავიმტკიცეთ ამითი გრძნობა!

—

სასტიკ ომებით ჩვენ მოვიმკვეთ
დიდი სახელი მამაცობისა,
მაგრამ ცოდნასა ვერ მივეხწენით:
კვლავ გვტანჯავს სენი უმეცრებისა!

—

ხრმალით ვიცავდით უწინ ქრისტეს ჯვარს,
ეხლა სხვა დროა — მო, აზრით, კალმით
აწ ნუ დავაკლებთ ჩვენ ხალხსა შრომას,
რომ მონებიდამ ვიხსნათ ის ამით!

**

### მოხევეები და იმათი ცხოვრება *)

V

ამ წერილში მე მინდა ერთს იმ გვარს საგანს შევეხო, რომელზედაც ბევრი, ძალიან ბევრი ყოფილა ნალაპარაკევი ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და რომელზედაც ლაპარაკმა იქნება თავიც მოაძულა მკითხველ საზოგადოებას; მაგრამ რადგანაც ეს საგანი გახლავს — სხვა და სხვა მოიჯარადრეების მოქმედება, რომელთაც სხვა და სხვა საქმეები ჰქონიათ აღებული უკანასკნელ რუსებისა და ოსმალების ომის დროს, და რადგანაც ზოგიერთი ხევის მმართველების ხასიათები, მოქმედება აქ ყველაზედ აშკარად გამოიჩენს თავს, ამის გამოისობითაც იმედი მაქვს მკითხველებისგან რომ არ დაიზარებენ ერთხელ კიდევ მოიგონონ წარსული შემაწუხებელი დრო, რომელმაც ბევრი ჩვენი გულითადი მეგობარი და ნათესავი იმსხვერპლა, და წაიკითხონ ეს წერილი. ამის იმედი მაქვს ნამეტნავათ უფრო იმიტომ, რომ მომეტებული წილი „დროების“ შესახებ სტატიებისა, იყო დაწერილი ბრძოლის ველებიდგან და იმ ალაგებიდგან, სადაც ჯარები მოქმედებდნენ, და ჩვენს შინაობას კი თუ რა ხდებოდა, ის სრულებით გაურჩეველი რჩებოდა.

მკითხველ საზოგადოებას თუ ისა ჰგონია, რომ იმ დროს მხოლოდ ბრძოლის ველებზედ, ოსმალეთში იყო ომი, დიდათ შემცდარი იქნება... ოსმალეთში იყო, მართალია, უმთავრესი ბრძოლა, ბრძოლა მეომართ ხალხებისა ერთმანერთ შუა, მაგრამ ბევრიც თავის კვალობაზედ არ იყო მოკლებული ბრძოლას, თუმცა იქ დახო..ილ კაცებს ვერ შეხვდებოდით. ხევში იყო ბრძოლა ხალხისა სიმდიდრესთან, სხვა და სხვა პირები ყოველის ღონის ძიებით ცდილობდნენ აქ თავის ჯიბე გადაიტანათ მოხევების სიმდიდრე და კეთილ-მდგომარეობა.

მართალია, რომ რასაც აღარა ეშველება-რა და რასაც კარგა ხანია გაუვლია, იმას კაცი აღარ უნდა გამოეკიდოს, მაგრამ ქვეყნის მომავალზედ კაცი გადაწყვეტილს, ვერაფერს იტყვის და დღეს დამშვიდებული, ხვალ შეიძლება, რომელისამე მიზეზის გამო, ცხოვრების ქარიშხალმა გაიტაცოს და ისევ უფრო უდიდესს ბრძოლაში შეერიოს და ქვეყანა კი ისევ ისე სხვა და სხვა უსვინიდისო ხალხის ხელში დარჩეს, რომლებიც უფრო უარესად გაატყავებენ; — ამისათვის მომეტებული არ არის წარსულს გავხედოთ, ავწონოთ. გავარჩიოთ და შემდეგისათვის მოვემზადნეთ ისე, რომ მთელი მაზრების კეთილ-მდგომარეობა ისეთს თვითეულს პირს არ ჩაუვარდეს ხელში, როგორებიც შეხვდა ამ სამწუხარო დროებაში ხევსა და რომლებიც, დასჯის მაგიერ დარჩნენ დასაჩუქრებულნი...

ჩემის წინა წიგნებიდგან დაინახავდით, რომ საზოგადოთ მთის ხალხი, და მოხევენი განსაკუთრებით, არა მცირედს ბეგარას ეწევიან და ესბეგარა ისემშვიდობიანს დროსაც კი უჭირდებათ, არამც თუ მაშინ, როდესაც აუარებელი რიცხვი რუსეთის ჯარისა დაიწყებდა სიარულს იმ ვიწრო ხეობაზედ, სადაც გაჭირება და მუშაობა კაცს ერთი ათად უფრო მომეტებული, უხდება, სანამ სხვა ალაგებში. მაგრამ რა მდგომარეობაშიაც უნდა ყოფილიყო მოხევე, რა შეწუხებაც უნდა

*) იხილე № 159 „დროებისა“.

დაბეჭდილია, რომ გუშინ დილით „დემუტის“ სასტუმროში ვიღაც მმიმე დამნაშავე დაატუსაღესო.

ვენა, 30 ივლისს. ცეცხლის გემი „ჯედდა“, რომელშიაც 953 მლოცველნი ისხდნენ, ქალაქს ჯედდაში მიმავალნი, ზღვის ფურთხისაგან დაიღუპა; გადარჩა მხოლოთ 21 კაცი.

ლონდონი, 30 ივლისს. ვიუბ-ხანი ყანდაარიდამ ექვს მილზედ დგას თავის ჯარებითა; ყანდაარი გამაგრებულია, სურსათიც საკმაოთა აქვს.

---

## ბეჭდვის კანონების გადახედვა

ტფილისი, 30 ივლისს.

ჩვენის გაზეთის დღევანდელს ნომერში იბეჭდება პეტერბურღიდამ მიღებული ტელეგრამმა რომელიც გვაცნობებს, რომ „ბეჭდვის კანონების გადასახედავად უმაღლესის ბრძანებით დანიშნულია ცალკე კომისია, რომლის თავს-მჯდომარედ იქნება ვალუევი და წევრებად: ლორის-მელიქოვი, მაკოვი, საბუროვი და აბაზა ე. ი. ოთხი მინისტრი და ერთიც უზენაეს აღმასრულებელ კომისიის უფროსი.

დიდი ხანია იწერებოდნენ რუსულ გაზეთებში, რომ მთავრობას განზრახვა აქვსო, შესცვალოს ახლანდელი შემავიწროებელი წესდებულება და კანონები ბეჭდვის შესახებ; განზრახვა აქვსო, რომ ჟურნალ-გაზეთებს საზოგადოთ და განსაკუთრებით პროვინციალურ დრო-გამოშვებით ლიტერატურას უფრო მომეტებული შემსუბუქება, უფლება და თავისუფლება მისცესო. დიდი ხანია ამბობნენ და იწერებოდნენ ამას, მაგრამ დღემდინ საუბედუროთ, ეს თქმა და წერა არ მართლდებოდა, ტყუილი გამოდიოდა.

დღეს კი ეს ამბავი თითქმის ოფიციალურად, ნამდვილათ ვიცით და, რასა თქმა უნდა, რომ ამის შეტყობა ყველასთვის სასიამოვნოდ დარჩება.

მაგრამ ჩვენ, პროვინციალურ ლიტერატურის მოღვაწეთ, ერთი-ორად უფრო მომეტებული მხიარულება გვმართებს, რადგან ჩვენი მდგომარეობა ერთი-ორად უფრო შევიწროებული და გამოუკვლეველია, ვინემ სატახტო ქალაქების გაზეთებისა, რომელნიც ცენზურისაგან მაინც არიან განთავისუფლებულნი და უფლება აქვსთ ისეთს საგნებზედ ილაპარაკონ თამამად, რომელზედაც სიტყვის ამოღებას ჩვენ სიზმარშიაც ვერ გავბედავთ . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . .

ახალი კომისია ისეთის პირებისაგან არის შემდგარი, იმათ ისე კარგათ ესმისთ საზოგადოთ ლიტერატურის მნიშვნელობა და განსაკუთრებით დრო გამოშვებით ლიტერატურისა, მეორეს მხრით, იმათ ისე კარგათ ესმისთ ის შევიწროებული მდგომარეობა, რომელშიაც ამ ჟამად რუსეთის ჟურნალ-გაზეთები არიან ჩაყარდნილი, რომ ჩვენ სრული იმედი გვაქვს ეს კომისია გამოიყვანს პერიოდიულ ლიტერატურას ამ მდგომარეობიდგან, დააყენებს იმას იმ გზაზე, რომელიც კანონიერად ეკუთვნის, და მისცემენ იმდენ ლონისძიებასა და უფლებას, რომ ამ ლიტერატურას საზოგადოებისთვისაც და თვით მმართებლობისთვისაც შეეძლოსთ სარგებლობის მოტანა.

შემდეგში ჩვენ მოვილაპარაკებთ იმაზედ თუ როგორ უნდა იქნეს ეს გზაგარკვეული და როდის, რა პირობებით შეუძლიან დრო გამოშვებითს ლიტერატურას საზოგადოებისა და მმართებლობისათვის სარგებლობის მოტანა და ნამდვილი სამსახური.

---

## ახალი ამბები

ცეცხლი გახშირდა ჩვენს ქალაქში. თითქმის ისე დღე არ გაივლის, რომ სადმე არ გაჩნდეს.

მაგრამ ბედნიერება კიდევ ეს არის, რომ ამ ცეცხლს ჯერ-ჯერობით საგრძნობელი ზარალი არავისთვის მიუცია: კამანდა მალე ტყობულობს და მსწრაფლად აქრობს, მარჯვედ მოქმედებს; იქნება ამ უკანასკნელი გარემოების წყალობით, განგებ ცეცხლის წამკიდებლებს წაერთვასთ ხალისი თავის ხელობისა!...

* * *

ამბობენ, რომ წინათ შეჩერებული გაზეთი „ტფილისის მოამბე“ ამ მოკლე ხანში ხელად დაიწყებს გამოსვლასაო.

ამას გარდა ჩვენ გაეიგონეთ, ბატ. ფითოევი და ახლად მიძინებულის „ობზორის“ თანამშრომელი ბ. სიმბორსკი აპირებენ რუსულ სატირიკულ-კარიკატურიან გაზეთის გამოცემას, რომელსაც სახელად „ფალანგა“ ერქმევაო.

ქართულ დრო გამოშვებით გამოცემაებზედ კი არა ისმის-რა. „კანდელის“ „იმედის“ და „მიმოხილვის“ გამოცემის უფლება არის ნათხოვნი მთავრობასთან, მაგრამ ჯერ ნამდვილად არ ვიცით—მიეცემათ ამ ჟურნალ-გაზეთებს გამოსვლის უფლება და ან გამომცემლები ისარგებლებენ ამ უფლებით თუ მიეცათ, თუ არა.

მომავალის წლიდამ, როდესაც ახალ კანონების გამოცემას უნდა მოველოდეთ პროვინციალურ ჟურნალების შესახებ, იმედი გვაქვს ეს კანონები შეცვლა და შემსუბუქება სხვათა შორის ჩვენშიაც გააადვილებს ჟურნალ - გაზეთების გამოცემას და იმ დროისათვის იმედი გვაქვს, მომმეები მოგვემატებიან.

* * *

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ დაბეჭდილი სიღნაღიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი გვაცნობებდა, რომ ქიზიყში საშინელი მხეცი მგელ-კაცა გამოჩნდაო და რამდენიმე ადამიანი შესჭამაო.

გაზ. „კავკაზში“ იწერებიან ახლა, რომ ერთი ამ მხეცთაგანი ერთს იქაურ გლეხს, გვარად ლეკიაშვილს, მოუკლავს თოფით და ტყავი ჩამოუტანია სიღნაღში. ამ ტყავით გამოუცვნიათ, რომ ეს მხეცი მართლა ზოლებიანი მგელ-კაცა („პალასატაია გიენა“) ყოფილა.

* * *

თუ გნებავთ მიჯნურობის მწვავის ცეცხლისაგან გამოწვეულ რაინდულის მოქმედების ამბები გესმოდეთ, ქალაქებს აალიეთ თვალი და გადახედეთ ჩვენი ლამაზი ქვეყნის კეკლუც სოფლებს. აი დღეს თუ გნებავთ, შეგიძლიათ ლეჩხუმის (იმერეთშია) სოფელს ნ—ს მიაპყრათ ყურადღება, საიდამაც გვწერენ:

„ამ დღეებში ერთმა ჩართუქესანმა რაჭველ თავადიშვილმა მ — თავმა მოიტაცა თავის გულის მტრედი, კვანწია (რაღა თქმა უნდა!) ქალიშვილი ა. ა—დიანი.

„ამბობენ, დედას ჩივილი უნდაო; რა სულელი იქნება თუ მართლა იჩივლა: „ფერი ფერსაო — მადლი ღმერთსაო“, ხომ გაუგონია იმ დალოცვილს!

* * *

---

ჰქონოდა იმას კანონიერის ბეგარისაგან. ისინი არაფრათ არ ჩააგდებდნენ იმას და ყოველ რიგს ჯაფას შედარებით სიამოვნებით გასწევდნენ, თუ ეს ჯაფა ქვეყნის და თავის მოძმეთ სასარგებლო იქნებოდა; მაგრამ იმათი ტანჯვა და მწუხარება კანონიერი ბეგარისაგან კი არ არის, რომ მოხევეები ბეგარაზედ გაჰყავსთ სხვა და სხვა მოიჯარადრეების ჯიბის გასაზრდელათ და ხალხი აშკარათა ხედავს, რომ იმათს ინტერესს სწირამენ ვილაცვილაცაების ინტერესს და ხშირათ ის მოხელენი, რომელთაც უნდა დაიცვან გლეხ-კაცობის ინტერესი თითონა ხდებიან მოიჯარადრეთ და მაშასადამე პირ-და-პირ მოწინააღმდეგეთ იმ ხალხის სიკეთისა ვისიც ბედ-იღბალი ხელში უჭირავსთ.

ჯარების სიარულის დროს, მმართებლობამ დაინახა საჭიროთ, რომ მობევრეებს თივით შემწეობა მისცეს, რადგანაც ის წელიწადი, საზოგადოთ უთივო წელიწადი იყო და ურიცხვის ცხენებისა და საქონლის იმ ალაგებზედ გავლამ, ხომ სრულებით გამოლია თივა. ამისათვის გადაწყვიტეს, რომ ურემზედ ნახევარი ფუთი თივა ეძლიათ და მობევრეებისათვის თივის მომზადება ჩაებარებინათ მაზრის უფროსისათვის, რომელსაც ყველაზედ უკეთ უნდა სცოდნოდა—საიდგან უფრო იაფათ და. ადვილათ მოვიდოდა იმის მაზრაში თივა. ფასი დაუნიშნეს ექვსი აბაზი ფუთზედ. მართალია, დანიშნული ნახევარ ფუთი თივა დღე-ღამეში არ ეყოფა მუშა ცხენს, მაგრამ რაც უნდა იყოს, მაინც დიდს შემწეობას მისცემდა მობევრეებს, თუ-კი მართლა მიეცემოდათ; მაგრამ, მაგრამ... სხვაგან-კი არ ვიცით და ხევში-კი აი რა მოხდა:

ნაჩალნიკმა მიანდო თივის მომზადება გამოცდილს და გაწვრთნილს ქვეშეთის პრისტავს და იმან-კი თავის ძუძუნ-კუკუნებს, როგორც მაგალითად, სტეფან-წმიდაში ა. ტოპაძეს, ა. მისოსტაკს და სხვა თავის ერთგულს პირებს.

ამათ, რასაკვირველია, მოამზადეს თივა, მაგრამ საუკეთესოთ დაინახეს ეს ხალხისათვის სახელმწიფო ფულებზედ მომზადებული თივა გაეყიდნათ მიმავალ-მომავალ ფურგუნებზედ და ხალხისათვის-კი, თუმცა ბარათები ერთვათ სრულს თივის მიღებაში ერთი გირვანქა თივაც არ მიეცათ.

მოხევეებსაც რა ექნათ, რომ არ ეძლიათ ბარათები?..კანონით კომლზედ ერთი ურემი უნდა წარმოედგინათ საბეგროთ და დანარჩენი-კი შეეძლოთ ემუშავებინათ ქირაზედ და თუ ვინმე წინააღმდეგობას გამოიჩენდა, ან უკმაყოფილობას გამოაცხადებდა, მაშინ იმას მისცემდნენ პასუხის-გებაში, წარადგენდნენ მართებლობის წინ, როგორც მოუსვენარს, არა-კეთილსაიმედო პირს, სახლიდგან დანარჩენს საქონელსაც გამოურეკდნენ, რამდენიც უნდა ჰყოლოდა ბეგარაზედ და ამით მოაკლებდნენ ლუკმის შოვნის საშუალებასაც იმისთანა, გაჭირებულს წელიწადს.

თუმცა მართალია, თივა თითქმის სრულებით არ იყო ხევში, მაგრამ ვლადიკავკაზიდან მოჰქონდათ და ფუთი 60 კაპ. მეტი ჯდებოდა. მაშასადამე მოიჯარადრეებს დანიშნული თივა რომ ეძლიათ, მაშინ მმართებლობისაგან დანიშნული ფულიდგან დარჩებოდათ ნახევარი, ე. ი. ფუთზედ 60 კაპ. და ვგონებ ეს რიცხვი არ იქნებოდა ძალიან ცოტა და ყველასაც გასწვდებოდა. მაგრამ კაცის თვალი და განსაკუთრებით იმისთანა ხალხისა, ვისაც სვინიდისისაგან ხელი აუღია, გაუმაძღარი არის და ჩვენმა მოხელე-მოიჯარადრეებმა უფრო სასარგებლოდ დაინახეს 1 მ. 20 კაპ. სულ მთლად და უკლებლად ჩაედოთ ჯიბეში, სანამ იქიდგან მიეცათ რამე იმათთვის, ვისთვისაც იყო დანიშნული ეს ფული.

ამის გამოისობით მოხდა ის, რისიც აცდენას ყველა ერიდებოდა: მოხევეებს დაუხდათ საქონელი, რომლებმაც ძლივსღა გააწწიეს გაზაფხულამდინ და რა გაზაფხული მოვიდა, აკრიფა მწვანის სუნი გალუბებულმა საქონელმა, მოექრათ მუხლი და მოჰყვნენ უწყალოდ ჟუჟვას; გაუწყდათ საქონელი... მოხელე-მოიჯარადრეებს კი შეემატათ! მოხევეებს სიღარიბით სული ამოსდით, „მოხელე-მოიჯარადრეები კი მსუქან-მსუქნს ვახშმებსა სჭამენ!.. მოხევეები გროშის ნატრულნი შეიქნენ და მოხელე-მოიჯარადრეებმა ბანკშიაც კი შეიტანეს ფულები!?.

რა მოგება იყო ამ მოხელე-მოიჯარადრეებისათვის ომი, შეგიძლიანთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლიდამ გვწერენ, რომ ამ თვეში ს. მეჯვრის-ხევის მხრისკენ ისეთი ხვილი სეტყვა ყოფილა (თითქმის ვერცხის ტოლა), რომ თუ ცოტას ანს კიდევ გაგრძელებულიყო, საქონელსაც კი დახოცავდაო.

ამ სეტყვას რამდენიმე სოფლებში კარგი ზარალი მიუცია ვენახებისა, ეხილებისა და საზოგადოთ „ფეხის ძირის) მოსავლისათვის“.

წელს აქეთკენ მაინც ემდუროდნენ ღვინის მოსავალსაო, იწერება კორრესპონდენტი, და აბა სამდურავი ამის შემდეგ იქნებაო!“

* * *

ამავე კორრესპონდენტის სიტყვით, ბოროში ამ ჟამად ისეთი სიცხე ჰყოფილა, რომ თითქმის ვდნებით, თუნდა სახლიდამ კარზედ არ გამოვიდეთო. თუმცა ამ თვეში ორჯერ იყო კარგი ღონიერი წვიმაო, მაგრამ ამან ვერ გაგრილა ჰაერიო.

* * *

იქიდამვე გვწერენ, რომ სოფ. ცხინვალში სეკტემბრიდამ დაარსდება ორ კლასიანი ნორმალური სასწავლებელი, რომლისათვისაც საკუთარ შენობას ამზადებენ (რვა ოთახიანს), რომელიც იჯარით უნდა გაკეთდეს შვიდას თუმნათ.

სოფ. მეჯვრის-ხევის სასოფლო შკოლაც სეკტემბრიდგანვე უნდა გაუმჯობესდეს, ორ-კლასიანად გადაკეთდეს და დურგლისა და ხურის ხელობის მაგივრათ, რომელსაც ამდენს-ხანს ასწავლიდნენ, სამჭედლო უნდა გაიმართოს მოსწავლეებისათვის. ამ შკოლის შენობასაც, რომელიც ძალიან საჭვო მდგომარეობაში იყო, შეკეთებას უპირებენ, რისთვისაც იხარჯება ორას თუმნამდინ.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**ქართლიდამ, 26 ივლისს.** მოდი და იცხოვრე შენ ამისთანა „ცეცხლის კიდების დროს!..—რა შავი ქვით უნდა იცხოვროს ჩვენისთანა ღარიბმა ამ დროში!..

— უწინ სხვა დრო იყო, ძმაო: გირვანქა დუმასავით ხორცს შაურათ ვყიდულობდით; კარგი დედალი ხუთ-ექვსი შაური, ან ბევრი-ბევრი ორი აბაზი; ღვინო იაფი და პური!.. მაშინდელი მანეთი ეხლანდელ ორ მანეთს უდრიდა და სხვ!..

აი თითქმის საყოველთაო საჩივარი აწმყო სიძვირისა!

მართლაც და ვინ არ იცის და ვინ არა გრძნობს ამ საშინელ, წრეს გადასულ სიძვირეს, რომელიც დღითი-დღე მატულობს?! გაჭირდა ცხოვრება ღარიბი კაცისათვის; ბევრ ნაკლულევანებას ითმენენ აგრეთვე შეძლებულებიცა!..

რამდენს ცდილობენ რაიმე წამალი მოუგვარონ, რამდენ საშვალებასა და ზომებს ხმარობენ, რომ იაფობა ჩამოვარდეს, მაგრამ როგორც კედელს ცერცვი, ისე უდგება ეს საშვალება სიძვირის მოსპობას! ერთის მხრით გაზეთები იძლევიან დარიგებას, ჰხატავენ მიზეზებს, მეორეს მხრით ადმინისტრაცია, მოხელე პირნი აღჭურვილნი არიან თავიანთი „ბრძანებითა“ და „ტაქციებით“, რომ გამოიყვანონ ხალხი ამ სიძვირისაგან და გაუადვილონ ცხოვრება; მაგრამ თქმა თქმად რჩება, ცდა ცდათა და სიძვირე ისევ უფრო მატულობს!..

რა არის ამისთანა დაუბოლოებელი სიძვირის მიზეზი?

ჯერ იყო და ომიანობას აბრალებდნენ: „ეს არისო ჩვენი დამღუპველი, თორემ ყველაფერი დაიაფდებაო“. ჩამოვარდა მშვიდობიანობა, მაგრამ უარესი დღე დაგვადგა. მერე კალია წარმოსდგა მიზეზათ: „დაიცა, ერთი ეს კალია მოვიშოროთო და მაშინ გვეშველება და ვიცხოვრებთო“. კალიას შარშან მაგდენი საგრძნობელი ზარალი არ მოუტანია (დღესაც მრავალია, ორმოები ხელ უხლებლები აქვსთ შარშანდელი მოსავლით ჩვენს გლეხებს, რასაკვირველია, ზოგს), წელსაც, შეგვიძლია ვსთქვათ, თითქმის არავითარი ვნება არ გამოუჩენია ჩვენი ხალხისა და მთავრობის დაუცხრომელი მეცადინეობის შემწეობით; მაგრამ ისევ ის „ცუდი დრო“, ისევ ის სიძვირე, ისევ ის „ცეცხლის კიდება ყველაფრისა“!

ხან გოლვიანობას აბრალებენ, ხან წვიმიანობას, ხან სეტყვიანობას, ხან ცუდ მოსავლიანობას. სიკვდილმა სთქვა: „კაცს ისე არ მოვკლავ, რაიმე საბაბი (მიზეზი) არ დავსდოვო“: ერთსაც გადავრჩით, მეორესაც, მესამესაც და სხვებსაც, მაგრამ სიძვირე მაინც თავის თავის განიერ ყალიბში ზის!

ეს სიძვირე ისეთ ზომამდისინ არის დღეს მიხწეული, რომ მთავრობამ აუცილებელ საჭიროებათ დაინახა ყურადღება მიაქციოს და იმის წინაალმდეგ იმოქმედოს. ბატ. თბილისის ღუბერნატორს, — რომელმანც არა ერთი დაუვიწყარი სიკეთე და შრომა გამოიჩინა თვისდამი რწმუნებულ მხრის საკეთილ დღეოთ ამ მხარეში ჯერ მცირე ხნის მყოფობის დროს, — „მიწერილობა“ დაურიგებია მაზრის უფროსებისათვის, რომ ამათ მიიღონ ყოველ-გვარი ზომები და შეამცირონ სიძვირე. ეს „ბრძანება,“ ბატ. ღუბერნატორის მიწერილობის ძალით, გაგზავნილი იყო ბ. მაზრის უფროსისაგან ყოველ სოფლის საზოგადოებაში:

„ბატონმა თბილისის ღუბერნატორმა თავის მოწერილობით ხუთს ამ მკათათვისას, № 8904, მიიღო რა მხედველობაში მოსპოს, როგორც თბილისში, აგრეთვე თბილისის ღუბერნიის სხვა ქალაქებშიაც ამ გვარი საგრძნობელი სიძვირე საზრდოისა, რომელიც (სიძვირე) არის მეტად შემაწუხებელი და საერთო უბედურება ყველა შეუძლებელ მცხოვრებთათვის, — წინადადება მომცა, რათა მე სასტიკად აღვკრძალო სხვ. და სხვ. ვაჭრებისაგან ამ გვარი სანოვაგე-საზრდოის სყიდვა ჩემდამო რწმუნებულს მაზრაში, რადგანაც ეს მოვაჭრეები, წინააღმდეგ სწორედ და კანონიერ ვაჭრობისა, დადიან სოფელ—სოფელ მხოლოდ იმ მიზნით, რომ შეისყიდონ გლეხთაგან ყოველ-გვარი სანოვაგე საზრდო იაფ ფასად, თითქმის უფასოთაც, და შემდეგ ის გააძვირონ, ერთი-ორ ფასათ ჰყიდონ ქალაქებში, ბაზრებში!

„ამის გამო სასტიკად მოგიწერ სოფლის მამასახლისს, რომ მიიღოთ თქვენ ყოველივე ნამდვილი ღონისძიება და აღკრძალოთ, რომ თქვენს საზოგადოებაში არავის მოვაჭრეთაგანს არ შეეძლოს გლეხებისაგან სანოვაგის ჰყიდვა. უკეთუ გლეხებს ამ გვარი საზრდო მომეტებული ექნებათ, იმათ უნდა წაიღონ ქალაქებში და გაჰყიდონ ბაზრებში და არა ამ მოგზაურ ვაჭრებზედ ადგილობრივ, სოფლებში; წინააღმდეგ შემთხვევაში პირადი პასუხის-მგებელნი იქნებით მამასახლისები“.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს ყურადღების ღირსი განკარგულებაა! რამდენჯერ თქმულა ჩვენს გაზეთში — შესახებ ამ გვარი მოგზაური ვაჭრებისა, რომელთაც ჩარჩებს ეძახიან, რომ ისინი დაწანწალებენ სოფელ-

---

იქიდგანთ წარმოიდგინოთ, რომ ჯერ მარტოკა ერთმა მოიჯარადრე ურიადნიკმა ათას თუმნამდინ შეიტანა ბანკში, იყიდა მიწა,ააშენა იმაზედ კარგა დიდი დუქანი და შიგვე თითონა ვაჭრობს და გასცა იალუხათ (სარგებლით) იქვე გლეხ-კაცებზედ კარგა საკმაოდ ფული!!! თუ ვიღაცა ურიადნიკმა, რომელმაც არც წერა-კითხვა იცის, არც ანგარიში, 20,000 მან. მოაგროვა იმ მოკლე ხანში, იმაზედ უმაღლესებს რაღა დარჩებოდათ!? ცხადია, ამოდენა ფულის მოგროვება ერთი ანგარიშ უცოდნელი კაცისაგან და ასე მცირე ხანში ყოვლად შეუძლებელია პატიოსნის შრომით...!

გაჩნდებოდა თუ არა ფული, რომელიც ხალხისათვის იყო დანიშნული, მაშინათვე ეს მმართველ-მოიჯარადრები მშიერ კალიასავით დაეცემოდნენ და უსვინდისოდ აჩანაგებდნენ!,

ტარბი მაინც გაჩენოდათ საიდგანმე, იმ შეჩვენებულებს!.. მაგრამ საიდგან?.. ვინ მოიტანდა იქ მამა იაკობის წყალს, რომელსაც ტარბი მოსდევს?.. არავინ და ამისათვის აკი კიდეც არ ეშინიანთ ამ საქვეყნო სიმდიდრის კალიებსა...

სხვათა შორის, ერთი გასაშტერებელი ამბავი კიდევ მოხდა: იყო ვინმე ფოდრიაჩიკი ბ. ფ., რომლის მოვალეობაც იყო ჯარებისათვის შეშის მომზადება. იმას ჰქონდა აღებული საჟენი შეშა 180 მ! ეს ისეთი ფასი არის, რომ წვრილათ გაურჩეველს ვერ დავაგდებთ. ჩვენებური ურემი იკიდებს 25 ფუთს და თითო საჟენს —კი იმ ხმელს შეშას, რომელსაც ფოდრიაჩიკი ეზიდებოდა; იკიდებდა 5 ურემი. მაშა სადამე საჟენი უნდა გამოსულიყო დახლოებით 125 ფუთი. მოიჯარადრეს ჰქონდა ნაყიდი ალაგზედ 20 მა., მაშა სადამე ეს ფული რომ მიეცა საჟენში, წამოსაღები, ურმის ქირათ კიდევა რჩებოდა 160 მ. ანუ ფუთზედ 1 მ. 28 კ., ვლადიკავკაზიდგან ქაზბეგამდინ 30 კ. ზეით არ გამოგზავნილა ბარგი და მაშასადამე ამ პატივცემულს მოიჯარადრეს არავისი შემწეობა აღარ ეჭირებოდა და ყოველთვის შეეძლო თავისუფალის მორიგებით გამოეგზავნა შეშა. თუნდა ფუთზედ 50 კ. რომ მიეცა, მოიჯარადრეს მაინც საჟენზედ დაეხარჯებოდა:

საჟენის ფასი ალაგზედ — 20 მ.
გადმოსატანიც — — 62 მ. 50 კ.
სულ — 82 მ. 50 კ.

ეს ფული რომ გამოვიდეთ იმ ფულიდგან, რაც მოიჯარადრესა ჰქონდა, ე. ი. 180 მ., მაშინაც საჟენზედ დარჩებოდა წმინდა მოგება 97 მ. 50 კ. და თუ 50 კ. მაგიერათ ექვს შაურათ გაპოგზავნიდა, მაშინ ხომ 133 მ. 50 კ..! კარგათა ხედავთ ამ ანგარიშიდგან, რომ ამ მოიჯარადრეს აღარავის შემწეობა არ ეჭირებოდა და თავის საქმეები სრულებით გაჩალხული ჰქონდა; მაგრამ წარმოიდგინეთ, ასეთი მოულოდნელი ამბავი: ერთბაშათ ქვეშეთის პრისტავი გიახლებათ ვლადიკავკაზში, თან ახლავან თავისი ერდგულნი და განუშორებელნი სტეფან-წმინდის ურიადნიკი, ყველა მამასახლისები ხევიდგან და რამდენიმე ჩაფარი. ეს ხალხი გაუთენებლივ დაუვლიან ვლადიკავკაზში მყოფს მოგვერებს, ვისაც ქირა ჰკიდია, იქვე გადმოუყრიან, ვისაც ბეი აქვს მიცემული, იმასაც შეზიდავენ და გარეკენ ყველას ცემა-ტყეპით და ძალათი მოიჯარადრების შეშას აჰკიდებენ!?. გინახავთ ამისთანა ამბავი? ამისთანავე ამბავი დაადგა მოქირავეებსა, ვისაც კი გზაში მოასწრეს: ურმებიდგან ბარგი ჩარეკეს ვლადიკავკაზში და ფოდრიაჩიკის შეშა აჰკიდეს...

მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ამოატანინეს შეშა და საჟენზედ ოც-ოცი მანეთი-ღა მისცეს!! ვლადიკავკაზის მართებლობამაც გამოუგზავნა შეშა, მაგრამ მეურმეებს-კი 60 მ. მისცეს. რისაგან მოხდა ეს განსხვავება, რათ დაფასდა მოხევეების შრომა ისე იაფათ, ვგონებ ძნელი გესაგები არ იყოს და არც გვიკვირს ეგ ამბები, რადგანაც პირველი ის არ იყო და არც უკანასკნელათ დარჩება.

მეტათ გაგრძელდა ჩვენი საუბარი და დრო არის შევამოკლოთ რადგანაც ამ შემთხვევაზედ მეტს ველარას ვიტყვით, გარდა გაკვირვებულის კითხვისა: ჯიბის სასარგებლოდ მოქმედობენ ეს პირნი? და რადგანაც გადაწყვეტილი არ ვიცით, ამიტომაც იმედი გვექნება, რომ როდისმე მაინც არის გავიგებთ, რადგანაც „არა არს საიდუმლო, რომელი არა გამოცხადდეს.“

ა. მოხხუბარიძე.

სოფელ, ატყუილებენ საწყალ გლეხებს, გაჭირებულ ხალხსა და ათასი ოინებით, თავიანთი ოსტატური „შტუკებით“ ნახევრის ფასათ სტყუებენ იმათ ყოველივე საზრდოს, მოაქვთ ქალაქ ადგილას და ჰყიდიან „სურვილისამებრ თვისისა“.

ამ მაწანწალა ჩარჩების ალებ-მიცემობა არის ორ გვარი: ზოგჯერ ისინი სოფლებში ფულით ვაჭრობენ ხოლმე, მაგრამ უმეტეს ნაწილათ საწვრილმანოთი. ერთისა და მეორე მხრითაც ისინი, რასაკვირველია, ცდილობენ გლეხების თვალის ახვას. გლეხებს, საზოგადოთ, ფული ისე არ ეხერხებათ და არ ემეტებათ სავაჭროსთვის, როგორც ჭირნახული, შინაური ფრინველები და სხვა, რაც უნდა მცირე ჰქონდეს ეს უკანასკნელნი. ჰხედვენ გლეხები, რომ სავაჭროს კარი-კარს დაატარებენ და ჰფიქრობს: „ეჰ, ქალაქ ადგილას წასვლას ისევ აქ ვიყიდოვო“, და აძლევენ არშინ ჩითში თითქმის ჩანახ პურს, გირვანქა შაქარში, ან საპონში კარგ მსუქან დედალს, ხუთ გროშიან კევში დუჟინობით კვერცხებს და სხვ.

აუცილებლად საჭიროა ამ გვარი განკარგულება გლეხ-კაცობის დახსნისათვის ამ ცრუ, მრუდე ვაჭრებისაგან, თუ ჩვენმა პატიოსანმა სოფლის მოხელეებმა აქაც თავიანთი ხერხები არ დალიეს, შარბათის ავებს ყლაპვა არ დაუწყეს და ჩარხი სხვა გვარათ არ დაატრიალეს! ამ გვარებში ხომ მამაცები არიან ისინი! ამისათვის, ჩვენის აზრით, ამ საქმის რიგიანათ მსვლელობაში თვალ-ყური უნდა ეჭიროს არა მარტო მამასახლისებს და, საზოგადოთ, მოხელე პირებს, არამედ ყოველივე პატიოსანს, ხალხის გულშემატკივარს და ამ გვარი კეთილი საქმის თანამგრძნობ პირებს, რომ სოფლებში ვერაფერი წინაამდეგი ვერ იმოქმედონ და თუ შეამცნევენ ჩუმათ, დაფარულათ ვაჭრობას, აცნობონ მთავრობას, რომელიც მოახდენს შესაფერს განკარგულებას.

ბოლოს არ შეგვიძლია არა ვსთქვათ, რომ არა ყველა გლეხთათვის იქნება სასარგებლო ადგილობრივ, სოფლებში ამ გვარი ვაჭრობის აღკრძალვა: მოგეხსენებათ, რომ მრავალნი არიან ისეთნი გლეხნი, რომელთაც არა ჰყავსთ ხარ-კამეჩი, ან ცხენები, რომ საჭიროების დროს შეეძლოს წაღება სავაჭროისა და თუ იმან ყოველ ამ დროს ქირა აძლია ქალაქ ადგილას წაღებაში, სადა ისე იქნება, ორი-სამი დღეც დარჩეს და, მაშასადამე, ხარჯიც მოუვიდეს, — რა ხეირი-ღა უნდა დარჩეს იმაზედ მეტი, რაც დარჩებოდა თავის კარებზედ გაჰყიდვისაგან?! ან იქნება მცირე, 3-5 მანეთის რაიმე უნდა გაჰყიდოს გლეხმა, — სად შეუძლია იმას ამის გამო წავიდეს ქალაქ ადგილას (თუ ცოტა მოშორებითაც არის), თუნდ საკუთარი გამართული ურემიც ჰქონდეს?! ქალაქებში მცხოვრებლებისათვის კი, მართალია, დიდი მნიშვნელობა ექნება ამას!

ყოველივე შემთხვევაში ჩვენ სიხარულით უნდა მივიღოთ ეს გარდაწყვეტილება და ვიქონიოთ იმედი, რომ იქნება ამის შემწეობით ცოტათი მაინც დაგვიიაფდეს საზრდო და დავეხწიოთ ამ საშინელ სიძვირეს!

გერმიცანიძე

ქ. გორი, 26 ივლისს.

# უცხოეთი

—

**წვრილი ამბები.** **პოლიტიკურს კორრესპონდენციაში** სტამბოლიდამ სწერენ, სხვათა შორის, შემდეგს: „აქ მცხოვრები არაბეთის შეიხები აპირობენ ხონთქრისადმი არზის მირთმევას, რომელშიაც გამოცხადებული იქნება სურვილი, რომ მათ მიენიჭოსთ თავიანთი ღუბერნატორის და მოხელეების ამორჩევის და მსაჯულების და ხარკის მკრეფელთა ამორჩევის უფლება.

ხონთქრის მახლობელნი ჰფიქრობენ, რომ თუ ხონთქარმა არ შეიწყნარა ეს არზა, არაბები იქ წამშივე გადუდგებიან ოსმალეთსო. აგრეთვე ამტკიცებენ, რომ ისინი ჩამოხდიან ხონთქარს „ხალიფის“ უფლებას და მისს მაგიერ მაჰმადის წინასწარმეტყველად (ყველა მოსლემინების სულიერ მეთაურად) გამოაცხადებენ ქაბის დიდს შერიფს აბდულა-მუტალიბა ფაშას.“

—

**ოსმალურს გაზეთს ვაქითში** ზღვაზედ დემონსტრაციის შესახებ ვკითხულობთ:

„ვინაც ევროპის დიპლომატების საიდუმლოები იცის, ის არავითარ მნიშვნელობას არ მისცემს ამ დემონსტრაციას, მით უფრო, რომ ევროპის საზოგადოებრივ აზრს ისე ძრიელ ჰსურს მშვიდობიანობა, რომ მმართებლობაებს აღარ მისცემენ აღმოსავლეთში ხელ-ახლავ ომის ატეხის უფლებას.“

—

სტამბოლიდამ **პრესს** სწერენ, ჩრდილოეთის ალბანიის ახალ ღენერალ გუბერნატორს დერვიშ-ფაშას მიწერილობა მიუვიდა გაამხნევეო ალბანიის ლიგა. უკანასკნელს დროს ბევრს თოფ-წამალს უგზავნისო პორტა ალბანიელებს.. ეტყობა დემონსტრაცია ვერაფრად აშინებს ოსმალეთსო.

**კელნის გაზეთშიაც** ამ კორრესპონდენციის სრულიად მსგავსი წერილია დაბეჭდილი რომლის ბოლოსაც თქმულია, ოსმან-ფაშა ვოლოში მიდის თესალიის მხედრობის უფროსადო.

—

ვჰპეჭდავთ **რუსსის კურიერისაგან** პარიჟიდამ მიღებულს კორრესპონდენციის რამდენიმე ალაგს:

„როცა გაზეთის **შეურიგებელის** გამოსვლაზედ ვჰკითხულობდით განცხადებას, რომელშიაც თანამშრომლებლად მალონის, პიასის, როშფორისა და ჰარტმანისთანა სახელ-განთქმულნი პირნი იყვნენ დასახელებულნი, ყველანი რაღაც „საკვირველებას“ მოველოდით. ვეგონა, რომ ეს გაზეთი ან კომუნარული იქნებოდა, ან და სოციალისტური; გვეგონა მას ექნებოდა — ან კარგი და ან ცუდი — საკუთარი პროგრამმა, დედა-აზრები, რომელნიც გამოზევდნენ მას ოპპორტუნისტების მოწინაამდეგე დასის დანარჩენ რაზმიდამ.

მაგრამ საქმემ კი სულ სხვა გამოაჩინა. ამ გაზეთის მსჯელობას, ნურას უკანრავად და — „ტიტინის“ მეტი არაფერი დაერქმევა. როშფორის აზრით გამბეტისაგან საფრანგეთს ეხლა იმისთანავე განსაცდელი მოელის, როგორც ადრე... ლუი-ნაპოლეონისაგან.

**როშფორი ცდილობს შემოიკრიბოს** თავის გროლიაშამო გამბეტის ყველა მოწინაამდეგე ელემენტები, და ამ ცდის დროს იმისთანა რამეებს ამბობს, რომ კაცს სიცილს მოჰგვრის.

„**ჩვენ** არ ვიცით რა თიხისაგან უნდა იყოს შექმნილი ის კაცი — ამბობს **როშფორი** — რომელიც რადიკალობს და იმავე დროს სოციალისტი არ არის, ან სოციალისტია და თავს რადიკალად არ ჰსთვლის.“

თუ არ იცისო და მიჰმართოს თავის მეგობარს **კლემანსოს**, რომელიც დიდი რადიკალია და სოციალისტი კი არა, როგორც თვითონ განმარტა **ფერნანდში** წარმოთქმულ სიტყვაშიო, ამბობს კორრესპონდენტი.

თუმც ასეა საქმე, რომ თვითონ როშფორმა არ იცის რა უნდა და რა არა — მაგრამ იმის მტრებს მაინც ძალიან ეშინიათ მისი. საგვარტომო დღესასწაულის მეორე დღეს, ორივე პალატის დეფუტატებში სულ შეურიგებელის გამოსვლაზედ ლაპარაკობდენ.„

—

გაზეთი **პრესსი** გვაცნობებს, ჰერმანიის და ავსტრიის იმპერატორები 10 აგვისტოს ინახულებენ ერთმანეთს ქ. იშლაშიო.



# განცხადებანი

—

შემთხვევით ისყიდება

# ადგილი

რომელზედაც ამ ჟამად ბაღია გაშენებული და რომელიც სამოსახლოთ გამოდგება. ეს ადგილი მდებარებს წყლის-პირა ქუჩაზედ, საზაფხულო კრუჟოკთან, სიგრძით 17 საჟენი და სიგანით 50 საჟენი. შეიძლება ნაწილნაწილად გაიყოს და ისე გაიყიდოს.

ფასისა და დაწვრილებით პირობების შესატყობლად მსურველს შეუძლიან მიმართოს ბ. ღიპინსკის, ელისავეტის ქუჩაზე, სახლის № 132.

(10—1)

ციტრატ - მაგნეზია წყურვილის მოსასპობლად

მოიკითხეთ ინგლისის მაღაზიაში.

(25—1)

# ინგლისის მაღაზია

*Maison de confianse*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შეადარეთ ჩვენი ნაი—1 მ. 10 კ. | | | მოსკოვის ნაის—1 მ. 40 კ. | |
| — — | —1—20 | | — | —1—60 |
| — — | —1—40 | | — | —1—80 |
| — — | —1—60 | | — | —2— „ |
| — — | —1—80 | | — | —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | | | — | —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქალალდი შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები — კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოში, კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის.

(100—1)

ამ ოთხშაბათიდამ, 30 ივლისიდამ იწყება გაკოტრებულ **ძმების ჯანჯულაზოვების საქონლის გასყიდვა.**

გასყიდვა იქნება მუდამ დღე დილის 9 საათიდამ ჯანჯულაზოვების გასტრონომიულ მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზე, თ. მუხრანსკის სახლებში.

(3—1)

### პატენტიანი შჩოტკები

**თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—31)

### კავკასიის აქეთა მხრის საოსტატო სემინარიისაგან.

მომავალს $18^{80}/_{81}$ აკადემიურს წელიწადს გორის საოსტატო სემინარიაში შემოსვლის მსურველთათვის არის 4 დაუჭერელი ვაკანცია მოსამზადებელ კლასში და 6 პირველში. მიღებისათვის არზები 15-ს აგვისტომდი მიიღებიან. საკონკურენტო ეგზამენები 20-ს აგვისტოდამ 25-მდე იქმნებიან მოხდენილნი.

(3—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ 31 Іюля 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი